პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 55 (4565)

1972 წ. 19 მარტი, კვირა.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გუშინ

თბილისის სპორტულ ბაზებზე მასობრივად მიმდინარეობდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. სარბიელზე გამოვიდნენ ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

(ამ მასობრივ ღონისძიებათა ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

# ყველა ბაზა მზად უნდა იყოს!



როგორ შეხვდნენ მთავარ „რეზიდენციებში" — სპორტულ ბაზებზე — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალ საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს? ამ საკითხს მიეძღვნა თბილისის სპორტული ბაზების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თაოსნობით მოეწყო.

როგორც თათბირზე ითქვა, „ლოკომოტივის" სტადიონზე, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზზე, თბილისის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს, „დინამოს", სპორტკომბინატის, სპორტკლუბ „სინათლის", კალინინის რაიონის „ცისარტყელას", პოლიტექნიკური, სავაჭრო და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმების სპორტულ ბაზებზე სპეციალური გრაფიკით მასობრივად დაიწყო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

აღინიშნა, რომ განსაკუთრებით ძნელდება გამოცდა ცურვაში. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის აუზი მხოლოდ მათთვისაა ხელმისაწვდომი, ვინც ცურვა იცის. „ლოკომოტივის" აუზზე, რომელიც ყველაზე მოსახერხებელია ცურვის მასობრივად შესასწავლად და ჩათვლების მისაღებად, კაპიტალური რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუნხენის ოლიმპიური თამაშების წინ ამ ბაზაზეა დანიშნული ცურვაში საბჭოთა ნაკრების შესარჩევი შეჯიბრება. ამიტომაც ბაზის ისე მოწყობა, რომ იგი თანამედროვე მოთხოვნებს შეეფერებოდეს, მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს. უნდა დაჩქარდეს აგრეთვე დიმიტროვის სახელობის ქარხნის სპორტულ ბაზაზე მიმდინარე რემონტი.

თათბირზე ხაზი გაუსვეს, რომ თბილისის სპორტული ბაზები მაგალითს უნდა აძლევდეს რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებს. მუშა-მოსამსახურეებს ნორმატივების ჩასაბარებლად დრო უნდა შევურჩიოთ. ყველა ღონისძიება საზეიმოდ უნდა ჩატარდეს.

სააგიტაციო-პროპაგანდისტული მიზნით ადგილებზე უნდა მოეწყოს სტენდები კომპლექსის ნორმატივებით, თვალსაჩინო ადგილზე უნდა გამოიკრას მისი შინაარსისა და მნიშვნელობის ამხსნელი პლაკატები და ლოზუნგები. ყველა ბაზას უნდა აწშვენებდეს კომპლექსის ახალი სამკერდე ნიშნის გადიდებული ნიმუში.

თათბირზე თავიანთ ბაზებზე გაწეული მუშაობისა და ამოცანების შესახებ ილაპარაკეს ი. წეტრეველმა (ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატი), დ. ჟორჟოლიანმა („ლოკომოტივის" სტადიონი), გ. პავლიაშვილმა (სპორტნაგებობათა სამმართველო), ბ. პაიჭაძემ („დინამოს" სპორტკომბინატი), ა. კორძაძემ (სპორტკლუბი „სინათლე"), თ. ასელიანმა („ცისარტყელა"), ვ. რაზმაძემ (დიმიტროვის ქარხანა), თ. გაჩეჩილაძემ („ლოკომოტივის" საცურაო აუზი).

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

თ. თენგოშვილი.

# ყველა ნვევამდელს — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" სამკერდე ნიშანი!

## ვესაუბრება დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის საბჭოს გმირი ა. პოკრიშკინი.

— საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონმა (მიღებულია 1967 წელს) თანამედროვე მოთხოვნათა სულისკვეთებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა კითხვა, რომლითაც ყველა ახალგაზრდას მივმართავთ — რა შეგიძლია?, მზად ხარ თუ არა, რომ საჭირო შემთხვევაში საბრძოლო რაზმში ჩაება?

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო კომპლექსი სრულად ასახავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების შეცვლილ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება, წრთობა, ხიმამაცის გამომუშავება სამშობლოს დაცვისთვის მზადებაში ყოველთვის უპირველესი მოთხოვნა იყო. ახლა სამშობლოს დაცვისთვის მზადება, ისევე როგორც შრომისთვის მზადყოფნა, ორგანულად ურთიერთდაკავშირებული მორალური და ფიზიკური თვისებების, ტექნიკური ცოდნისა და ჩვევების კომპლექსი გახლავთ.

კომპლექსის III საფეხური — „ძალა და მამაცობა" — წვევამდელთა და გასაწვევი ასაკის ჭაბუკებისთვისაა გათვალისწინებული. აქ დადგენილია საკმაოდ მაღალი მოთხოვნები მარშ გარბენში, ტექნიკურ სპეციალობაში, სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. გამოყენებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია IV საფეხური ც — „ფიზიკური სრულყოფა", რომელიც გათვალისწინებულია 19-39 წლის კაცებისა და 34 წლამდე ასაკის ქალებისთვის.

ახალი კომპლექსი უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის განვითარებაში. ესაა საძირკველი ყველა იმ ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობისა, რომლებიც დაინტერესებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილებისა და საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებით.

დოსაავის ყველა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს გასული წლების გამოცდილება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ნორმების ჩაბარებაში. მაგრამ ახლა მთავარი ამოცანა ისაა, რომ ახალგაზრდები, სასწავლო ჯგუფებსა და დოსაავის კლუბებში, საშუალო სკოლებში, პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში სპეციალური პროგრამით მომეცადინე ჭაბუკები და ქალიშვილები სისტემატურად ვარჯიშობდნენ და ახალი კომპლექსის ნორმატივებს აბარებდნენ.

სსრ კავშირის დოსაავის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა თავისი გადაწყვეტილებით დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი. მაგალითად, ყველა კომიტეტს მიეცა წინადადება მომავალ პლენუმებზე, სპორტული აქტივის თათბირებზე, პირველადი ორგანიზაციების კრებებზე განიხილონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობის ნორმატივების ჩაბარებისთვის კარგი პირობების შესაქმნელად.

ამ მიზნით ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევით რაიონებსა და ქალაქებში, საზოგადოების პირველად ორგანიზაციებში ფართოდ დაინერგოს ისეთი შეჯიბრებები, როგორიცაა სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი (ავტომანქანის მართვა, სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა, მძლეოსნური კროსი), მცირეკალიბრიანი ბიატლონი, საზღვაო მრავალჭიდი, რადიომრავალჭიდი, სამოტოციკლო მრავალჭიდი...

დოსაავის ორგანიზაციებში სპორტის ტექნიკურ სახეობებში მილიონები მეცადინეობენ. ჩვენ ვცდილობთ მათს ყოველმხრივ მომზადებას. საჭიროა, რომ ბიჭებს შეეძლოთ არა მარტო პარაშუტით ხტომა, არამედ წყლის ზღუდეების გადალახვა, ზუსტი სროლა, მოტოციკლით სიარულის დროს რადიოკავშირის დამყარება, ხელყუმბარის მიზანში ტყორცნა, დასერილი დისტანციის სწრაფად გარბენა.

სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში VI საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შეჯიბრებათა დიდი ნაწილი დაგეგმილია მრავალჭიდის ფორმით. ეს სათანადო პირობებს შექმნის საიმისოდ, რომ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივები დოსაავის მილიონობით წევრმა ჩააბაროს.

დოსაავის ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მომავალი წლის 1 იანვრიდან სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური ნაკრები გუნდების შემადგენლობაში შევიდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებსაც „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივები ჩაბარებული ექნებათ.

უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი საზოგადოების ყველა სპორტული ღონისძიება ხელს უწყობდეს ახალგაზრდობის მიზიდვას „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. დოსაავის ცენტრალური კომიტეტი ახალი კომპლექსის პროპაგანდას მიიჩნევს საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა შორის სამხედრო-პატრიოტული მუშაობის ახალ აღმავლობას, მათს მომზადებას სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის.

## დღეს

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზში დილის 8 საათიდან დანიშნულია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება მსურველთათვის.

# შამუგია — აბსოლუტური ჩემპიონი

ამას წინათ კიევში გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში.

მსგავს შეჯიბრებებში ქართველი ტანმოვარჯიშეები მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ. ამჯერად ჩვენმა სპორტსმენებმა უღალატეს კარგ ტრადიციას, მაგრამ ამას თავისი გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა. დაგვეთანხმებით, რომ ძნელია წარმატების მიღწევა მაშინაც, როცა გუნდს ერთი წამყვანი მოვარჯიშე გამოაკლდება, ამჯერად კი ჩვენს ნაკრებს ერთბაშად სამი ცნობილი სპორტსმენი აკლდა. ავადმყოფობის გამო სარბიელზე გამოსვლა ვერ შეძლეს სსრ კავშირის ერთ-ერთმა უძლიერესმა სპორტსმენმა მ. ბოგუსმა და ახალგაზრდა ტანმოვარჯიშემ ა. ნოზაძემ. ქალები კი ულიდეროდ ასპარეზობდნენ, რადგან რ. სიხარულიძე საბჭოთა კავშირის ნაკრებში იყო მიწვეული. რაღა თქმა უნდა, ჩემპიონობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. და ჩვენც საერთო IV ადგილს დავჯერდით.

და მაინც, დინამოელთა შეჯიბრებიდან ქართველი ტანმოვარჯიშეები ხელცარიელი არ დაბრუნებულან. პირად ასპარეზობაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი პ. შამუგია. პაატამ ცალკეულ იარაღებზეც კარგი ოსტატობა გამოავლინა. მან I ადგილი დაისაკუთრა თავისუფალ ვარჯიშში და ძელზე. ქების ღირსია გ. ლოლაძე. გურამმა საერთო V ადგილი დაიკავა, მაგრამ ტაიჭზე გაიმარჯვა და ძელზე კი მეორე იყო.

გოგონათა შორის ცალკეულ იარაღებზე კარგად გამოვიდა ბათუმელი ქ. გოგიჩაიშვილი. მან I ადგილი დაისაკუთრა დვირზე და II — თავისუფალ ვარჯიშში. ეს II ადგილი აშკარად დასანანი იყო, ვინაიდან აქ ერთგვარი როლი არაობიექტურმა მსაჯობამაც შეასრულა.

გ. ჩხარტიშვილი.



სტოკჰოლმი. ყინულზე მოტორბოლაში მეხუთედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა საბჭოთა სპორტსმენმა გ. კადიროვმა (უფა). მან ყველა სერია მოიგო და 15 შესაძლებლიდან 15 ქულა დააგროვა.

* * *

სურათზე: გ. კადიროვი გამარჯვების შემდეგ.

საკდესის ტელეფოტო.

# როგორც მოსალოდნელი იყო...

თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. აქ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქართული ჭიდაობა. ტექნიკუმის გუნდი წარმატებით გამოდის როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ამას წინათ წინანდლის ღვინის ქარხნის კლუბში თელაველებმა ლაგოდეხისა და ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების გუნდებს უმასპინძლეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, I ადგილი თელაველებმა დაისაკუთრეს. II ადგილი წილად ხვდათ ლაგოდეხის, III — ბაკურციხის გუნდებს.

ნ. ახალაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგი ლომინაძის ოთხი გამარჯვება

ბევრს, ცხადია, დღესაც ახსოვს საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი „ნაუკა", რომლის კაპიტანიც კოტე ლომინაძე იყო. ნაუკელებს რესპუბლიკაში ბევრი გამარჯვება უზეიმიათ, საკავშირო სარბიელზეც ბევრი მეტოქე დაუმარცხებიათ და უძლიერესის სახელიც დაუსაკუთრებიათ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. კოტემ სპორტული სარბიელი დატოვა. ახლა იგი თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორია, მაგრამ სპორტს არ ივიწყებს...

მამის სურვილი ასეთი იყო: ერთადერთი ვაჟი ღირსეულ მოქალაქედ და კარგ სპორტსმენად აღეზარდა. ოღონდ გოგისთვის სხვა სახეობა აირჩია — სამთოსათხილამურო სპორტი.

გოგი თბილისის 50-ე სკოლის მეათეკლასელია. უკვე რამდენი წელია ზამთრის უმეტეს დროს ბაკურიანში ატარებს, კოხტაგორის ფერდობებზე ვარჯიშობს. ერთხანს გამოცდილი ბაკურიანელი სპორტსმენები და მწვრთნელები ასწავლიდნენ, მერე ნორჩი ლინამოელის ჯგუფში ჩარიცხეს. მას თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი პ. კოზანაშვილი, სპორტის ოსტატები ი. ოგანეზოვი და შ. კოზანაშვილი. არც სწავლა უჭირს: ბაკურიანში ყოფნისას აქაური საშუალო სკოლის მასწავლებლები ეხმარებიან.

მამას ამაგი დაუფასდა — გოგიმ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე რამდენიმე წარმატება უკვე იზეიმა. წლეულს სამთომოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშებაში „ლელოს" პრიზზე ასპარეზობისას მან სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, მერე კი „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობაში იმარჯვა.

მაგრამ გოგიმ განსაკუთრებით ამას წინათ ისახელა თავი.

კოხტაგორაზე „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოზარდთა პირველობა (1954-55 და 1956-57 წლებში დაბადებულნი) ჩატარდა. სტარტზე რსფსრ-ს (2), მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთისა და საქართველოს გუნდები გამოვიდნენ. ჩვენი რესპუბლიკის სამთომოთხილამურეებმა ამგვარ შეჯიბრებაში შარშან და შარშანწინაც კარგად იასპარეზეს, მაგრამ ახლა მოლოდინს გადააჭარბეს: საერთო გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ რსფსრ-ს პირველ კოლექტივს (192 ქულა) ჩამორჩნენ და 145 ქულით II ადგილი დაიკავეს. III ადგილზე გავიდნენ ყაზახეთის მოთხილამურეები — 105 ქულა. საქართველოს კოლექტივის წარმატება ძირითადად ჭაბუკების დამსახურებაა.

განსაკუთრებით იმარჯვეს შ. კოზანაშვილის აღსაზრდელებმა — ბაკურიანელმა მოსწავლეებმა ნ. ჯეირანაშვილმა, ს. მიქაბერიძემ, თ. მოსესოვმა და პ. კოზანაშვილის აღსაზრდელმა ვ. ჯიჭოევმა. მათ პირველი თანრიგის ნორმატივები პირველად შეასრულეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნაკრების გუნდურ წარმატებაში გოგონებს მეტისმეტად პატარა წვლილი მიუძღვით, ვინაიდან უმცროსი ასაკის ჯგუფში მონაწილე საერთოდ არ გამოუყვანიათ. თინა კოზანაშვილს (უფროსი ასაკი) ვერ დავემდურებით. მხოლოდ ის შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ სწრაფდაშვების ტრასაზე გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და ტურნირს გამოეთიშა.

ჩემპიონატი სწრაფდაშვებით დაიწყო. გოგონებისთვის 1300-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა 300 მ, 16 კარი) მოეწყო. შემდეგ ამავე სახეობაში ჭაბუკები ასპარეზობდნენ, ოღონდ მათთვის ტრასა გართულდა (1500 მ, 350 მ, 14 კარი).

უმცროსებში ლომინაძეს ბადალი არ ჰყავდა. ერთადერთი, ვისაც მისთვის მეტოქეობის გაწევა შეეძლო, თბილისელი მოსწავლე კ. ურუშაძე იყო, მაგრამ მან მოსახვევში თავი ვერ შეიკავა, ღრმა თოვლში შეიჭრა და... ტურნირს გამოეთიშა. ლომინაძე უფრო დაკვირვებულად და, ამავე დროს, სწრაფად ასპარეზობდა — 1.13,9. შემდეგ ბრძოლა ფაქტიურად II და III ადგილებისთვისღა გრძელდებოდა. საბოლოოდ მოსკოველმა ა. შლიახტინმა (1.18,6) პ. გლუშდანს (რსფსრ-I) 0,1 წამი მოუგო. IV ადგილი დაიკავა ჯიჭოევმა — 1.19,4, V — დ. სოტიშვილმა — 1.23,9.

უფროსი ასაკის ჭაბუკებიდან საუკეთესოთა ათეულში საქართველოს ხუთი სპორტსმენი შევიდა: გ. ფანჯაკიძე (1.16,0), ა. ბანდურმა (1.16,7) და ლ. ბანდურმა (1.17,0) III-V ადგილები დაიკავეს, ნ. ჯეირანაშვილმა (1.17,0) და ს. მიქაბერიძემ (1.18,4) — VII და VIII. პირველობა წილად ხვდა პ. დიომინს (რსფსრ-I) — 1.14,0. მას 0,6 წამით ჩამორჩა ყაზახეთის გუნდის წევრი პ. ეგოროვი.



მერე ლომინაძემ მოიგო გიგანტური სლალომი, სპეციალური სლალომი და, რა თქმა უნდა, სამჭიდის ჯამშიც საუკეთესო გახლდათ, თანაც ყველა სახეობაში უფროსი ასაკის სპორტსმენებზე კარგ შედეგებს მიაღწია.

გოგონებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ო. აგრანოვსკაია (რსფსრ-I) და ზ. კოტელნიკოვა (ყაზახეთი).

ტურნირმა ცხადყო, რომ ბაკურიანის „დინამოს" სპორტულ სკოლას ჭაბუკებთან კარგად უმუშავია, მაგრამ გოგონათა შესახებ ამას ვერ ვიტყვით. ეს იმდენად მწვრთნელთა ბრალი როდია. ბაკურიანელი მოსწავლე გოგონები ბოლო წლებში სათხილამურო სპორტს რატომღაც აღარ ეტანებიან. ჩვენი აზრით, ეს ამ სახეობის სუსტი პროპაგანდის შედეგიც უნდა იყოს.

პირველობა (მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ი. ჯანგობეგოვი) კარგად იყო მოწყობილი.

ტურნირის შემდეგ შედგა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდები, რომლებშიც უფროსი ასაკის ჯგუფში გ. ფანჯაკიძე, ლ. და ა. ბანდურები და თ. კოზანაშვილი ჩაირიცხნენ. 24-31 მარტს ისინი კიროვსკში უფროსი ასაკის მოზარდთა საკავშირო ტურნირში იასპარეზებენ.

უმცროსი ასაკის ნაკრებში საქართველოდან გ. ლომინაძე, კ. ურუშაძე, ვ. ჯიჭოევი და დ. სოტიშვილი შევიდნენ. მათს საკავშირო პირველობას ამავე რიცხვებში ბაკურიანი უმასპინძლებს.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

### ტექნიკური შედეგები.

**გოგონები. სწრაფდაშვება. უმცროსი ასაკი.** ო. აგრანოვსკაია (რსფსრ-I) — 1.23,0, ა. [illegible]შკინა (რსფსრ-II) — 1.27,8, გ. ცუცეი (უკრაინა) — 1.34,0. **უფროსი ასაკი.** ზ. კოტელნიკოვა (ყაზახეთი) — 1.22,3, თ. ბოროდულინა (რსფსრ-I) — 1.23,0, ო. კოზლოვა (უკრაინა) — 1.28,4... XII დ. ბაკაევა (საქართველო)—1.44,6. **გიგანტური სლალომი** (1300 მ, 300 მ, 50 კარი). **უმცროსი ასაკი.** აგრანოვსკაია — 1.50,6, ა[illegible]შკინა — 2.01,5, გ. სივაკი (რსფსრ-I) — 2.04,9. **უფროსი ასაკი.** ბოროდულინა — 1.50,4, კოტელნიკოვა — 1.50,6, თ. კოზანაშვილი — 1.53,0... VIII. ბაკაევა — 2.08,1. **სპეციალური სლალომი** (380 და 400 მ, 108 და 115 მ, 54 და 58 კარი). **უმცროსი ასაკი.** აგრანოვსკაია — 1.54,7, სივაკი — 2.09,3, ცუცეი — 2.17,5. **უფროსი ასაკი.** კოტელნიკოვა — 1.55,5, კოზანაშვილი — 2.01,2, ე. სოლოვიოვა (ლენინგრადი) — 2.08,5... VIII. ბაკაევა — 2.27,8. **სამჭიდი. უმცროსი ასაკი.** აგრანოვსკაია, ცუცეი, სივაკი. **უფროსი ასაკი.** კოტელნიკოვა, სოლოვიოვა, ს. სურკოვა (მოსკოვი).

**ჭაბუკები.** გიგანტური სლალომი (1500 მ, 350 მ, 44 კარი). **უმცროსი ასაკი.** ლომინაძე — 1.43,9, ჯიჭოევი—1.46,6. ა. უმნოვი (რსფსრ-I) — 1.48,5. **უფროსი ასაკი.** პ. დიომინი (რსფსრ-I) — 1.45,0, ლ. ბანდური — 1.46,1, პ. ეგოროვი (ყაზახეთი) — 1.47,0, ა. ბანდური — 1.48,8... VI. გ. ფანჯაკიძე — 1.49,2... X. ს. მიქაბერიძე—1.52,1... XIII. თ. მოსესოვი — 1.52,6. **სპეციალური სლალომი** (420 და 430 მ, 120 და 130 მ, ორივეჯერ 52 კარი). **უმცროსი ასაკი.** ლომინაძე — 1.37,2, უმნოვი — 1.42,1, ვ. ერმოლაევი (რსფსრ-II) — 1.49,0... V. ჯიჭოევი — 1.58,8. **უფროსი ასაკი.** დიომინი — 1.38,1, მიქაბერიძე — 1.38,6. ლ. ბანდური — 1.39,6... VI. ა. ბანდური — 1.43,7. **სამჭიდი. უმცროსი ასაკი.** ლომინაძე, ჯიჭოევი, შლიახტინი, სოტიშვილი. **უფროსი ასაკი.** დიომინი, ეგოროვი, ლ. ბანდური, ა. ბანდური, მიქაბერიძე.

* * *

სურათზე: გ. ლომინაძე.

## „კოლმეურნის" კონფერენციებზე

ზუგდიდის, ცხაკაიას, დუშეთის, ზესტაფონის, გულრიფშის, ლანჩხუთის და ხელვაჩაურის რაიონებიდან ჩვენი კორესპონდენტები ქ. ფიფია, ე. გუგუნავა, ვ. ღურბელაშვილი, პ. ნებიერიძე, შ. ჯალაღონია, ი. ებრალიძე და ნ. დევაძე გვატყობინებენ, რომ გაიმართა სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული კონფერენციები, სადაც მოისმინეს საანგარიშო და სარევიზიო კომისიათა მოხსენებები. შემდეგ გაიმართა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ზუგდიდში „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს **შ. ჩანველია**, ცხაკაიაში — **ა. ყურაშვილი**, დუშეთში — **გ. ბუჩაშვილი**, ზესტაფონში — **ნ. კაკაურიძე**, გულრიფში — **ა. უჩანეიშვილი**, ლანჩხუთში — **ი. ებრალიძე**, ხელვაჩაურში — **ვ. ჭყონია**.

## დინამოელთა უპირატესობით

დამთავრდა თბილისის პირადგუნდური პირველობა სამბოში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ „დინამოს", „განთიადის", „ლოკომოტივის", თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები (ეს ორი უკანასკნელი პირად პირველობაში ასპარეზობდა).

შეჯიბრებაში მონაწილეობას გაურკვეველი მიზეზებით თავი მოარიდეს „შრომითმა რეზერვებმა" და „სპარტაკმა". ამის მიუხედავად ბრძოლა მეტად საინტერესო გამოდგა.

ჩემპიონები გახდნენ: ა. ოჩიყმაშვილი, თ. ყანადაშვილი, ჭ. ტოტოშვილი (ყველა — „დინამო"), გ. ოდიშვილი („ლოკომოტივი"), თ. ბასიაშვილი, გ. გალუსტიანი (ორივე — „განთიადი"). მ. ბროძელი, ო. ყურაშვილი, მ. წენგელია, თ. ცეცხლაძე (ყველა — „დინამო"). სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჭ. ტოტოშვილმა და გ. ოდიშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით გამარჯვება დინამოელებმა მოიპოვეს.

**ა. ნინიაშვილი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## დაკომპლექტდა ნაკრები

თბილისის ტრანსპორტის სამმართველოს საჭიდაო დარბაზში მოეწყო „სპარტაკის" იუნიორთა რესპუბლიკური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, ვანის, მაიაკოვსკის, კასპის, საგარეჯოს, ბოლნისისა და თბილისის გუნდებმა.

წარმატებით იასპარეზეს ბოლნისელებმა (მწვრთნელი ა. ქუფჩიშვილი), რომელთაგან სამმა პირველი ადგილი დაიკავა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. მიგრიაული (თბილისი), ა. ბჟალავა (ბოლნისი), ვ. ქუმარიტოვი (ცხინვალი), ი. მუშკუდიანი (ბოლნისი), თ. ქორაშვილი, ა. კოტორაშვილი, თ. გაბოშვილი, თ. მარსაგიშვილი (ყველა — თბილისი), ნ. გზირიშვილი (საგარეჯო), ვ. ისაგულოვი (ბოლნისი), ვ. გოდერძიშვილი (საგარეჯო).

დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც მარტის ბოლო რიცხვებში მონაწილეობას მიიღებს იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში. ეს ასპარეზობა კიევში გაიმართება.

**ო. ჩხაიძე,**
სპორტის ოსტატი.

## [illegible]

### ✦ ქობულეთი

ჩატარდა რაიონის სკოლების მოსწავლეთა პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გამარჯვება მოიპოვეს № 6 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. აფაქიძემ, ჯ. მეგრელიძემ, ა. თხილაიშვილმა, ზ. მეგრელიძემ, ვ. კასატერიძემ, ა. მანასიანმა, შ. შონიასმა, მ. დოლიძემ, ზ. ევგენიძემ და ა. ნოღაიდელმა.

**ლ. ტრაპაიძე.**
(ჩვენი კორ.).

## საქართველოს ნაკრები I ადგილზე

ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ოდერის ფრანკფურტში ჩატარდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 10 ქვეყნის 119 მოჭიდავე მონაწილეობდა. ამ ასპარეზობაში სსრ კავშირის ღირსებას იცავდა 9 კაცისგან დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში გამოდიოდა ევროპის თითქმის ყველა წამყვანი ქვეყნის ნაკრები (გარდა პოლონეთისა).

წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრეს. II ადგილზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძიუდოისტთა კოლექტივი, III — საფრანგეთის ნაკრები.

ქართველმა ფალავნებმა არც პირად პირველობაში შეირცხვინეს თავი. მაგალითად, 80 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა გ. გოგოლაურმა. ამავე წონაში III ადგილი წილად ხვდა რ. ხარშილაძეს, რომელიც ტრავმის გამო მოიხსნა ნახევარფინალიდან.

ქებას იმსახურებს მძიმე წონის მოჭიდავე რ. ოდიშელიძე. მან საუცხოოდ ჩაატარა ყველა ბრძოლა და პირველობა მოიპოვა აბსოლუტურ კატეგორიაში. სხვათა შორის, მან ორჯერ დაამარცხა საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი ძიუდოისტი ბრონდერი. ოდიშელიძესთან ერთად აბსოლუტურ კატეგორიაში გამოდიოდნენ ქვემძიმე წონის მოჭიდავეები ა. მუზაევი და შ. ჩოჩიშვილი. ორივემ 4-4 შეხვედრა მოიგო, მაგრამ ფინალში მონაწილეობის უფლება დაკარგა. ჩოჩიშვილი III ადგილზე დარჩა, ხოლო მუზაევი მეხუთეზე. ჩოჩიშვილი მესამე იყო ქვემძიმე წონაშიც.

გთავაზობთ გამარჯვებულთა სიას: (წონითი კატეგორიების მიხედვით): საბო (უნგრეთი), ჰოცკერი (გდრ), გოგოლაური (საქართველო), ჰოვილერი (გდრ), ბუტკა (ავსტრია), ოდიშელიძე (საქართველო).

**ა. მარტყოფლიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

# აქტივმა იმსჯელა

ცხინვალში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურული აქტივის საოლქო კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

კრება გახსნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. ჯიოევმა.

„საქართველოს V სპარტაკიადაში ოლქის სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" მოხსენება გააკეთა ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. თედეევმა.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა საქართველოს სპარტაკიადაში ოსეთის სპორტსმენთა გამოსვლაზე, გააკრიტიკა ფიზკულტურის კოლექტივები, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ სპორტის მასობრიობისთვის.

ა. თედეევმა აღნიშნა, რომ ოლქის სპორტულ ცხოვრებაში სათანადო წვლილი შეაქვთ პედაგოგიური ინსტიტუტის, სამკერვალო ფაბრიკის, ვიბრომანქანისა და ავტობუსების შემკეთებელი ქარხნების, ხე-ტყის კომბინატის, ბავშვთა სპორტული სკოლის, ერედვის საბჭოთა მეურნეობის, ავნევის, დმენისის, ქსუისის, წინაგრის და სხვა ფიზკულტურულ კოლექტივებს, მათს ხელმძღვანელებს.

მომხსენებელმა მოწინავეთა შორის დაასახელა, აგრეთვე, ცხინვალის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6 და ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლების ფიზკულტურული ორგანიზაციები. მან გააკრიტიკა ტყვიის მსროლელები, ველოსიპედისტები, კალათბურთელები (ვაჟები), თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, ხელბურთელები, ფრენბურთელები (ქალები), მოფარიკავეები, ძალოსნები, რომლებიც სუსტად გამოვიდნენ სპარტაკიადაში. შემდეგ ა. თედეევმა ილაპარაკა სპორტული ბაზების, სპეციალისტების უკმარობაზე. ითქვა, რომ ზნაურის, ჯავის, ლენინგორის რაიონებში, „დინამოს", „კოლმეურნის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „განთიადის" ორგანიზაციებში ჩამორჩება სპორტული საქმიანობა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ცხინვალის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა თ. ცხოვრებოვმა, პარტიის ჯავის რაიკომის მეორე მდივანმა ი. მაგკოევმა, საქართველოს V სპარტაკიადის ჩემპიონმა, მძლეოსანმა ე. ბაგიაევმა, პარტიის ზნაურის რაიკომის მეორე მდივანმა რ. გათიკოევმა, პედინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგემ გ. სანაკოევმა, ლენინგორის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ძუკაევმა, კომკავშირის ცხინვალის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. სლანოვმა, „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ცხოვრებოვმა, კომკავშირის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ბაბუციძემ და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ბალავაძემ.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი.

კრებამ მიიღო ღონისძიება მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

**ვ. მელქოევი.**
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

## ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები



# ხელები

გინახავთ ტანმოვარჯიშის ხელები, უფრო სწორად, ხელისგულები? შეგიმჩნევიათ, რა უხერხულად გრძნობენ თავს ახოვანი ტანმოვარჯიშეები, როცა ხელები გამოუჩნდებათ? თუ საყვარელ იარაღზე არ ვარჯიშობენ, თითქოს არც იციან სად წაიღონ მეტისმეტი ჯაფისგან დაბერილი, დაკოჟრილი ხელები, რომლებსაც ერთგვარი კონტრასტი შეაქვს მათს ჰარმონიულ ტანადობაში.

ახლა წარმოიდგინეთ ტანმოვარჯიშე, რომელიც თითქმის ორი ათეული წელია იარაღებთან ტრიალებს, ვისთვისაც ტანვარჯიში არა მარტო უსაყვარლესი სახეობაა, არამედ ცხოვრების მყუდრო სავანეც. იგი მუდამ საგულდაგულოდ „მალავს" თავის ხელებს, თუმცა, სადაც წესი და რიგია, სასახელოდ უნდა მიაჩნდეს. დიახ, მიხეილ ბოგუსს სწორედ რომ აქვს უფლება იამაყოს.

ამ ხელებს უვრძვნიათ არა მარტო არაადამიანური დაძაბულობა და ჯაფა, არამედ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების სითბოც.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დღეებში ათასობით მაყურებელი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ბოგუსის ყოველ მოძრაობას და პირველ ყოვლისა... ხელებს. საუკეთესო ტანმოვარჯიშეებთან ჭიდილის წინ მეტისმეტი ჯაფისგან გადაყვლეფილი ხელები თითქოს უარს ამბობდნენ სამსახურზე. იარაღზე ხელისგულების ოდნავი მიკარებაც კი აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა. ხალხი მაინც ელოდა სასწაულს. და ეს სასწაული მოხდა. წარმოიდგინეთ ფეხმოტეხილი ფეხბურთელი, მხედველობადაქვეითებული მსროლელი, წელკავიანი მოჭიდავე. დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში იყო ბოგუსი სპარტაკიადის გადამწყვეტი სტარტის წინ. მის მეტოქეებს ერთობ დიდი უპირატესობა ჰქონდათ: მათი სახელები მსოფლიოში ჰქუხდა, ბევრი მათგანი სამყაროს უძლიერეს ტანმოვარჯიშედ ითვლებოდა ამა თუ იმ იარაღზე, მსაჯებისა და სპეციალისტების კეთილგანწყობაც მათს მხარეზე იყო. დაუმატეთ ამ კოზირებს ახალგაზრდული ასაკი და თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ბოგუსისთვის თითქმის აღარ რჩებოდა ადგილი „მზის ქვეშ". მაგრამ, აკი გითხარით, სასწაული მოხდა-მეთქი. ამ სასწაულზე ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ სპარტაკიადის დღეებში, ხოლო ბოგუსის გამოსვლა ამ უდიდესი შეჯიბრების ერთ-ერთ საგულისხმო ეპიზოდად იქცა.

მან აიძულა საკუთარი ხელები ემუშავათ ოქროს მედლისთვის, იმ ქულებისთვის, ასე რომ სჭირდებოდათ მის თანაგუნდელებს, საქართველოს სპორტულ დელეგაციას. სპარტაკიადა ბოგუსისთვის არ ყოფილა ჩვეულებრივი შეჯიბრება. მისთვის ეს იყო ოლიმპიური თამაშები, რომელშიც იგი არასდროს გამოსულა, თუმცა იოტისოდენა მანძილი აშორებდა მას. ეს გახლდათ, თუ გნებავთ, მსოფლიო პირველობა, რომელშიც მონაწილეობის ბედნიერება ასევე არასოდეს ჰრგებია, თუმცა, თუ გულახდილად ვიტყვით, აქაც უნდა მოესინჯა ძალა. რა თქმა უნდა, სპორტული პრინციპის მიხედვით. მოდით, გავხსნათ ფრჩხილები და განვმარტოთ ზემოთ ნათქვამი. სპარტაკიადას კვლავ დავუბრუნდებით.

1964 წელს მ. ბოგუსი ტანვარჯიშულ სამყაროში ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა. ამ დროისთვის თბილისელი სპორტსმენი თითქმის არავის ჩამოუვარდებოდა გინდა ნიჭითა და უნარით, გინდა შრომისმოყვარეობით. იგი ახლოს იყო სსრ კავშირის ნაკრების კარიბჭესთან, მაგრამ ტოკიოს ოლიმპიადაზე მიხეილი არ წაუყვანიათ. ბოგუსმა მშვიდად გადაიტანა ეს. შემთხვევით როდი მიიჩნევდნენ მას რკინისნერვებიან, უმტკიცესი ნებისყოფის სპორტსმენად. იგი თითქოს გამოვიდა კიდეც ტოკიოში, თითქოს პაექრობდა კიდეც უხილავ მეტოქეებთან და დაკოჟრილი ხელებით ლებულობდა ოლიმპიადის მედალს. ბოგუსს ეს შეეძლო, რადგან მდიდარი ფანტაზია აქვს, როგორც ყველა განათლებულ და ციტყვაძუნწ ადამიანს. მას სჭირდებოდა ტოკიოს სარბიელზე გამოსვლა, წარმოდგენით მაინც, რათა ოთხი წლის შემდეგ მექსიკაში ოლიმპიადის ფავორიტებს შეხვედროდა. ეს იყო ბრძოლა და ჭიდილი საკუთარ თავთან.

ერთმანეთს გადაება ოთხი გრძელი წელი. ოთხი წელი, რომლებიც ტოკიოს მეხიკოს აშორებდა. ისევ ქანცგამწყლელი ვარჯიში, ისევ საპატიო, მაგრამ უიღბლო წოდება — ნაკრების კანდიდატი. და აი, ოლიმპიადამდე, მეხიკომდე, თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღაა დარჩენილი. ვერა და ვერ გადაცვალა კანდიდატობა წევრობაზე, ვერა და ვერ მიაღწია ყველა სპორტსმენისთვის სანუკვარ მიზანს — ოლიმპიადაში მონაწილეობას. და კვლავ დაიწყო ბრძოლა უხილავ მეტოქეებთან. ამ მარცხმა ლამის გატეხა.

წლები კი გადიოდა. ბოგუსის გვარის გასწვრივ უკვე ხშირად იწერებოდა ტკბილ-მწარე სიტყვა „ვეტერანი".

ბოგუსს არ მიუტოვებია ტანვარჯიშული სარბიელი, თუმცა რომ მიეტოვებინა კიდეც, ვის მოუბრუნდებოდა ენა ძვირი ეთქვა ამ ღვაწლმოსილ სპორტსმენზე? ამ დროისთვის (მხედველობაში გვაქვს მეხიკოს ოლიმპიადის პერიოდი) ბოგუსის სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებდა ბევრი თვალსაჩინო მიღწევა. იგი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი ცალკეულ იარაღებზე, საერთაშორისო მატჩებსა და ტურნირებში გამარჯვებული. რაც შეეხება სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებას, მათ ჭეშმარიტად თვლა არა აქვთ. ბოგუსმა უთვალავი გამოცდა ჩააბარა. ძნელად თუ გამოინახება ტანმოვარჯიშე, ვისაც იმდენჯერ გაევლოს ნაკრების მწვრთნელების „შემოწმება", რამდენჯერაც ბოგუსს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ისე ხდებოდა, წყაროსთან რომ მიიყვანენ მწყურვალს და წყალს არ დაალევინებენ. იყო ეს, უსაფუძვლო სკეპტიციზმი თუ სხვა რამ?

1970 წელს, საკავშირო სპარტაკიადის წინ, ლუბლიანაში ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. „ჩვენი კანდიდატი" არც ამ შეჯიბრებაზე წაუყვანიათ, თუმცა შესარჩევი ასპარეზობების მიხედვით ბოგუსს კვლავ ერგებოდა ნაკრების წევრობა. საინტერესოა, რატომ ვერ გახდა ღირსი თუნდაც ერთხელ გამოსულიყო მსოფლიო ასპარეზზე, როცა ამ უფლებისთვის მთელი შვიდი წლის მანძილზე იბრძოდა და იმსახურებდა კიდეც რჩეულთა შორის ყოფნის უფლებას. იმსახურებდა, მაგრამ ასე არ მოხდა...

აი, საკავშირო სპარტაკიადამდე მოვედით. ათასობით მაყურებელი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ბოგუსის ყოველ მოძრაობას და პირველ ყოვლისა... ხელებს, ნაჯაფარ, დაწყლულებულ ხელისგულებს. მხოლოდ სასწაული დააწინაურებს ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შორის უპრეტენზიო, თავმდაბალ თბილისელ სპორტსმენს. ბოგუსს უკან დასახევი გზა აღარა აქვს. იგი მედგრად იბრძოლებს თავისი თანაგუნდელების, რესპუბლიკის ღირსებისთვის. თანაც სპარტაკიადა ბოგუსისთვის არის ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატები, ყველაფერი, სადაც ბედმა არ გაუღიმა და ხანგრძლივი სპორტული ბიოგრაფიის მანძილზე ერთხელაც ვერ აისრულა წადილი.

სასწაული მოხდა (თუმცა, განა შეიძლება ამას სასწაული ვუწოდოთ?). ტანვარჯიშის ყველა მოყვარულმა იცის, რაც ჩაიდინა სპარტაკიადაზე ბოგუსმა. დამაშვრალ, დაწყლულებულ ხელისგულებს ღერძზე ვარჯიშში მიღებული ოქროს მედალი უთბობდა. ეს იყო მისი მრავალწლიანი სპორტული გმირობისა და შემართების საუკეთესო ჯილდო.

... ერთი წუთით დახედეთ ჩვენი წერილის რუბრიკას. ხედავთ, ისევ დავწერეთ ეს სიტყვები — ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი. მაგრამ გაიხსენეთ, რა ძლიერი, უჩვეულოდ მძლავრი და ნაჯაფარი ხელები აქვს ბოგუსს. ამ ხელებს ბევრი, ძალიან ბევრი შეუძლიათ.

ა. გოგელია.

* * *



სურათზე: მ. ბოგუსი ღერძზე ვარჯიშისას.

# პირველი და მესამე

ამას წინათ ლენინგრადის მახლობლად, ტოქსოვოში, გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა საციგაო სპორტში. ტურნირში ხუთიოდე თვის წინ შექმნილი საქართველოს გუნდიც მონაწილეობდა. თბილისის სამხატვრო აკადემიის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ გ. ჯაფარიძემ უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და მოსამსახურეებისგან კარგი კოლექტივი შეადგინა. გულმოდგინე წვრთნის შედეგად ტოქსოვოში წარმატებაც მოიპოვა.

სტარტზე მოსკოვის, მოსკოვის ოლქის, ლენინგრადის, ლენინგრადის ოლქის, სვერდლოვსკისა და თბილისის სპორტსმენები გამოვიდნენ, სულ — 58 მოციგავე (საქართველოს კოლექტივში მხოლოდ ვაჟები იყვნენ).

ბრძოლაში თავდაპირველად ქალები ჩაებნენ. შემდეგ სტარტი ვაჟებმა აიღეს. ერთადგილიანი ციგებით მოასპარეზეებისთვის 4-4 დაშვება ეწყობოდა, ორადგილიანებით — 2-2. ტრასის სიგრძე 700 მ იყო, სიმაღლეთა სხვაობა — 65 მ. სტარტიდან ფინიშამდე რვა რთული მოსახვევი მოეწყო.

წყვილთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ლენინგრადელთა დუეტმა (ი. ეგოროვი, ჯ. ილინი), რომელმაც ორი ცდით 1.43,4 აჩვენა. საქართველოს გუნდმა (ზ. კოპაძე, რ. კასრაძე) პირველ ცდაზე წარუმატებლობის (1.01,0) მიუხედავად IV ადგილი დაისაკუთრა, ვინაიდან მეორე ცდით მეორე შედეგი (53,0) მოიპოვა. ჩვენი რესპუბლიკის მეორე დუეტის (გ. კოპაძე, თ. ნონიკაშვილი) წევრები დაშავდნენ და ბრძოლას გამოეთიშნენ.

სამაგიეროდ, საქართველოს სპარტაკელებს პირად პირველობაში ბადალი არ ჰყავდათ. ისინი ტურნირში უთანრიგოდ ჩაებნენ, შინ კი ორი სპორტის ოსტატობის კანდიდატის სახელით დაბრუნდა. ერთმა პირველი თანრიგი მიიღო, ერთმაც მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 22 წლის ზ. ავალიანმა პირველ ცდაზე ლენინგრადელ სპორტის ოსტატ ი. ეგოროვთან (48,0) 1,8 წამი წააგო და ამავე ქალაქის წარმომადგენელთან, სპორტის ოსტატობის კანდიდატ ი. იუდიჩევთან — II-III ადგილები გაიყო.

მეორე ცდაზე ისევ ეგოროვმა იმარჯვა — 48,1. იუდიჩევი II ადგილზეა (48,8). ავალიანს ცდა მ. ბოროდინმაც მოუგო (50,0) და ვ. ვახნინმაც (ორივე — ლენინგრადის ოლქი) — 50,2. ამ ცდაზე ავალიანი მხოლოდ მეოთხე იყო — 50,9.

მესამე ცდაზე ისევ ეგოროვს გაუღიმა ბედმა — 49,3. სამაგიეროდ, იუდიჩევს ხელი მოეცარა (57,4) და ავალიანმა, რომელმაც ცდაზე მეორე შედეგი (50,7) მოიპოვა, საერთო II ადგილზე გადაინაცვლა.

ყოველივე ბოლო ცდას უნდა გაერკვია. მართალია, ავალიანს პირველი შედეგი არც ამჯერად მოუპოვებია (ლენინგრადელებმა ს. პროკოფიევმა და იუდიჩევმა აჯობეს), მაგრამ 49 წამი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ოთხი ცდის ჯამში ქართველ სპორტსმენს ყველაზე კარგი მაჩვენებელი (3.20,4) ჰქონოდა. ავალიანმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა და ჩემპიონობა მოიპოვა. პროკოფიევი II ადგილზე გავიდა — 3.23,4. III ადგილზეა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ზ. კოპაძე — 3.24,1. სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი ამ უკანასკნელმაც შეასრულა.

რ. კასრაძე პირველი თანრიგის შედეგით (3.36,8) VIII ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება ეგოროვს, ბოლო ცდაზე მან სუსტად იასპარეზა (1.13,0) და X ადგილს დასჯერდა.

ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ნ. ბოგდანოვა — 3.35,8.

თ. ნონიკაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ტოქსოვო.

# მწვრთნელთა ნაყოფიერი მუშაობა

ამას წინათ დუშეთში ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ახალგაზრდა სამბისტთა პირადი პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი ათლეტი. ახალგაზრდა სამბისტებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს. როგორც ჩანს, მწვრთნელები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

წონითი კატეგორიების მიხედვით „სპარტაკის" ჩემპიონები გახდნენ: გ. შიუკაშვილი (რუსთავი), ა. ფეიქრიშვილი (დუშეთი), ლ. კარიაული (თბილისი), თ. ხუგაევი (თელავი), გ. ჯანგირაშვილი (დუშეთი), ნ. გამოლინი (ქუთაისი), ზ. ბახტაძე, გ. ჭიკაძე (ორივე — თბილისი), ბ. დანაჭრელაშვილი (თელავი), ზ. შავლიაშვილი (თბილისი).

ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მწვრთნელების შ. დალაქიშვილის, ქ. ერემეიშვილისა და მ. კარიაულის კარგი მუშაობა. მათი აღსაზრდელები ამ შეჯიბრებაშიც მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდნენ.

უნდა აღინიშნოს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონის ს. ქარელის ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა. ადრე გორს ვერ გამოჰყავდა სპორტსმენები ამ ტურნირში. ახლა კი ამ ქალაქის ახალგაზრდა სპორტსმენებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

თ. არაბული,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.





## სსრ კავშირის თასზე



## ცსკა — მეოთხედფინალში

17 მარტს ტაშკენტში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს შორის.

ამ გუნდების პირველი მატჩი სოჭში მოიგეს არმიელებმა — 1:0. ამჯერად მათ ფრედ ითამაშეს — 0:0 და გავიდნენ მეოთხედფინალში, სადაც როსტოვის არმიელთა გუნდს შეხვდებიან.

• •

## პირველი მატჩი — ლვოვში

სსრ კავშირის თასის პირველი მეოთხედფინალური თამაშის ჩასატარებლად დღეს ლვოვში გაფრინდნენ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები.

მატჩი ლვოვში შედგება 21 მარტს.

## საკონტროლო მატჩი

ლესელიძეში ამას წინათ საკონტროლო მატჩი ჩაატარეს ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა, რომელთა მეტოქე იყო კრასნოდარის „ყუბანი".

უპირატესობა კრასნოდარელთა მხარეზე იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 2:1. ქუთაისელთა მხრივ გოლი გაიტანა ჯ. სილაგაძემ. ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს ქუთაისელებმა — 2:1.

„ტორპედო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, პეტროვი, წვერავა, მირონოვი, ფრიდმანი, ოქროპირაშვილი, ჭოლაძე, სილაგაძე, ვეკუა, შელია, ზადიკაშვილი.

დ. თორაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი ჭადრაკი ჭადრაკი

# დიდოსტატთა პალიტრა

საჭადრაკო სამყარო, მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ხვდებიან ბ. სპასკისა (საბჭოთა კავშირი) და რ. ფიშერის (აშშ) მატჩს. ამ დიდი მოჭადრაკეების ბრძოლა მუდამ მძაფრი და მიმზიდველი იყო.

პირველად სპასკი და ფიშერი ერთმანეთს 1960 წელს შეხვდნენ არგენტინის აგარაკ მარ-დელ-პლატას საერთაშორისო ტურნირში. მაშინ სპასკი 23 წლის იყო, ფიშერი კი 17-სა. პარტია უაღრესად მწვავე, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. საბჭოთა დიდოსტატმა მეტოქეს XIX საუკუნეში პოპულარული მეფის გამბიტი შესთავაზა. ფიშერმა ვაჟკაცურად მიიღო გამოწვევა. პარტიის ბედი მხოლოდ თამაშის მიწურულს გადაწყდა, როცა ამერიკელს მოპირდაპირის 27-ე სვლა გამორჩა.

ამ ტურნირში სპასკიმ და ფიშერმა I-II ადგილები გაიყვეს. სპასკი ამბობს, რომ მასთან წაგების შემდეგ ფიშერმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დ. ბრონშტეინთან (სსრ კავშირი) და მერე ზედიზედ 12 პარტია მოიგო.

ამ მოჭადრაკეთა პირველ შეხვედრაში ნათლად ჩანს ორივე მეტოქის შემოქმედებითი კრედო. ეს არის გამომწვევი, თამამი, საკუთარ ძალაში დარწმუნებული დიდოსტატების თამაში. საგულისხმოა, რომ მათი შეხვედრების ბედი უპირატესად მიტელშპილში წყდებოდა. ენდშპილში დიდი ერუდიციის გამომჟღავნება მათ თითქმის არ დასჭირვებიათ.

მეორედ სპასკი და ფიშერი ერთმანეთს შეხვდნენ 1966 წელს სანტა-მონიკას (აშშ) საერთაშორისო ორწრიან ტურნირში. საბჭოთა დიდოსტატმა I ადგილი დაიკავა, ფიშერმა — II. სპასკიმ ორ შეხვედრაში 1,5 ქულა მოაგროვა.

სპასკისა და ფიშერს ერთმანეთთან უთამაშიათ აგრეთვე ორ საჭადრაკო ოლიმპიადაში — 1966 წელს ჰავანაში და 1970 წელს ზიგენში. მსოფლიო ჩემპიონი იმარჯვებდა ჰავანის პარტიაში 40. ... ლf8 რომ ეთამაშა. ზიგენში მათი შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა. სპასკიმ დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა პარტიის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა 29. ლ:e6! ითამაშა. საინტერესოა გავაანალიზოთ, რატომ თქვა უარი ფიშერმა თითქოს მოგებისკენ მიმავალ 29. ... ეd1 სვლაზე.

სპასკისა და ფიშერის ყველა პარტია ჭეშმარიტად დიდი შემოქმედებითი ტილოა. როცა ამ პარტიებს გაეცნობით, იგრძნობთ, რომ მათი მომავალი მატჩიც უკიდურესობამდე დაძაბული იქნება.

აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, ფიშერის უახლოესი მეგობარი და მზრუნველი, პოლკოვნიკი ე. ედმონდსონი ამბობს, რომ ანგარიში 4:1 სპასკის სასარგებლოდ ბევრს არაფერს ნიშნავს. სპასკი უკვე იყო თავისი მიღწევების მწვერვალზე, მაშინ, როცა ფიშერი ყოველდღე უახლოვდება მას. მატჩის დროს ფიშერი საუცხოო სპორტულ ფორმაში იქნებაო.

ყოველივეს თვით მატჩი გვიჩვენებს. დღეს არავინ იცის, როგორ წარიმართება ბრძოლა, ვინ დაეუფლება ინიციატივას. შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი პროგნოზები, თანაც გამარჯვებას ყველა თავის კერპს უწინასწარმეტყველებს.

თ. გიორგაძე.



სურათზე: ბ. სპასკისა (მარცხნივ) და რ. ფიშერის შეხვედრა ზიგენის ოლიმპიადაში.

**№ 1. მეფის გამბიტი**

**სპასკი — ფიშერი**

**მარ-დელ-პლატა, 1960 წ.**

1. e4 e5 2. f4 ef 3. მf3 g5 4. h4 g4 5. მe5 მf6 6. d4 d6 7. მd3 მ:e4 8. კ:f4 კg7 9. მc3 მ:c3 10. bc c5 11. კe2 cd 12. 0—0 მc6 13. კ:g4 0—0 14. კ:c8 ე:c8 15. ლg4 f5 16. ლg3 dc 17. ეae1 მფh8 18. მფh1 ეg8 19. კ:d6! კf8 20. კe5+ მ:e5 21. ლ:e5+ ეg7 22. ე:f5 ლ:h4+ 23. მფg1 ლg4 24. ეf2 კe7 25. ეe4 ლg5 26. ლd4 ეf8?



27. ეe5! ეd8 28. ლe4 ლh4 29. ეf4. შავები დანებდნენ.

**№ 2. გრიუნფელდის დაცვა**

**სპასკი — ფიშერი**

**სანტა-მონიკა, 1966 წ.**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. e4 მ:c3 6. bc კg7 7. კc4 c5 8. მe2 მc6 9. კe3 0—0 10. 0—0 ლc7 11. ეc1 ეd8 12. ლe1 e6 13. f4 მa5 14. კd3 f5 15. ეd1 b6 16. ლf2 cd 17. კ:d4 კ:d4 18. cd კb7 19. მg3 ლf7 20. d5 fe 21. de ლ:e6 22. f5 ლf7 23. კ:e4 ე:d1 24. ე:d1 ეf8 25. კb1 ლf6 26. ლc2 მფh8 27. fg hg 28. ლd2 მფg7 29. ეf1 ლe7 30. ლd4+ ეf6 31. მe4 კ:e4 32. კ:e4 ლc5 33. ლ:c5 ე:f1+ 34. მფ:f1 bc 35. h4 მc4 36. მფe2 მe5 37. მფe3 მფf6 38. მფf4 მf7 39. მფe3 g5 40. h5 მh6 41. მფd3 მფe5 42. კa8 მფd6 43. მფc4 g4 44. a4 მg8 45. a5 მh6 46. კe4 g3 47. მფb5 მg8 48. კb1 მh6 49. მფa6 მფc6 50. კa2. შავები დანებდნენ.

**№ 3. ესპანური პარტია**

**ფიშერი — სპასკი**

**სანტა-მონიკა, 1966 წ.**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 0—0 8. c3 d5 9. ed მ:d5 10. მ:e5 მ:e5 11. ე:e5 c6 12. g3 მf6 13. d4 კd6 14. ეe1 კg4 15. ლd3 c5 16. dc კ:c5 17. ლ:d8 ეa:d8 18. კf4 h6 19. მa3 g5 20. კe3 კ:e3 21. ე:e3 ეd2 22. მc2 ეe8 23. ე:e8+ მ:e8 24. მe3 კf3 25. კc2 მd5 26. b3 მფf8 27. a4 მe4 28. კ:e4 კ:e4 29. ab ab 30. b4 ეb2 31. g4 მფg7 32. მფf1 მფf6 33. ეa5 ეb1+ 34. მფe2 ეb2+ 35. მფf1. ყაიმი.

**№ 4. ესპანური პარტია**

**ფიშერი — სპასკი**

**ჰავანა, 1966 წ.**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 0—0 8. c3 d6 9. h3 h6 10. d4 ეe8 11. მbd2 კf8 12. მf1 კd7 13. მg3 მa5 14. კc2 c5 15. b3 cd 16. cd მc6 17. კb2 g6 18. ლd2 კg7 19. ეad1 ლb6 20. მf1 ეad8 21. მe3 ლb8 22. კb1 ლb7 23. ეc1 მფh7 24. a3 კc8 25. კc3 კd7 26. ლb2 ლb8 27. b4 მფg8 28. ეcd1 მh7 29. კa2 მg5 30. მ:g5 hg 31. de de 32. მd5 მe7 33. მ:e7+ ე:e7 34. ლd2 კf6 35. ლd6 მფg7 36. ლ:a6 ეc8 37. ეd6 ე:c3 38. ე:f6 კe6 39. ე:e6 fe 40. ეd1 ლb7 41. ლ:b7 ე:b7 42. კ:e6 ე:a3 43. მფh2 ეa4 44. ეb1 ეc7 45. f3 ეa6 46. კb3 ეa3 47. ეb2 ეa1 48. მფg3 მფf6 49. მფg4 ეc3 50. კd5 ეaa3 51. h4 gh 52. მფ:h4 ეa1 53. ეd2 ეaa3 54. მფg4 ეd3 55. ეf2 ეac3 56. ეa2 ეa3 57. ეb2. ყაიმი.

**№ 5. გრიუნფელდის დაცვა**

**სპასკი — ფიშერი**

**ზიგენი, 1970 წ.**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. e4 მ:c3 6. bc კg7 7. კc4 c5 8. მe2 მc6 9. კe3 0—0 10. 0—0 ლc7 11. ეc1 ეd8 12. h3 b6 13. f4 e6 14. ლe1 მa5 15. კd3 f5 16. g4 fe 17. კ:e4 კb7 18. მg3 მc4 19. კ:b7 ლ:b7 20. კf2 ლc6 21. ლe2 cd 22. cd b5 23. მe4 კ:d4 24. მg5 კ:f2+ 25. ე:f2 ეd6 26. ეe1 ლb6 27. მc4 ეd4 28. მf6+ მფh8.



29. ლ:e6! ეd6 30. ლe4 ეf8 31. g5 ეd2 32. ეef1 ლc7 33. ე:d2 მ:d2 34. ლd4 ეd8 35. მd5+ მფg8 36. ეf2 მc4 37. ეe2 ეd6 38. ეe8+ მფf7 39. ეf8+. შავები დანებდნენ.

# დიდი ამოცანების წინაშე

— საბჭოთა ჭადრაკის მატიანე ალსავსეა საგულისხმო გამარჯვებებით, მაგრამ ეს თვითდამშვიდების უფლებას როდი გვაძლევს. ამ ბოლო დროს უცხოეთში გამოჩნდნენ ძლიერი მოჭადრაკეები, რომლებიც ოლიმპიადებში, ტურნირებში მეტი წარმატებით გვეპაექრებიან. მათგან ერთ-ერთი უძლიერესი — ამერიკელი დიდოსტატი ფიშერი მსოფლიო ჩემპიონის სახელს უმიზნებს. შექმნილ ვითარებაში ჩვენი შემდგომი წინსვლისთვის საჭიროა დიდზე დიდი მუშაობა. ამ მუშაობის წარმმართველი ძალა, როგორც ყოველთვის, საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმი უნდა იყოს, — თქვა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივონინმა ამას წინათ მოსკოვში გამართულ საბჭოთა მოჭადრაკეთა საარგარიშო პლენუმზე.

გაგაცნობთ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობას, რომელიც „სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეულ „64"-ში გამოქვეყნდა:

**ი. ავერბახი** — თავმჯდომარე, **ბ. როდიონოვი** (ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი), **ვ. სმისლოვი, ვ. ბაიკოვი** — მოადგილეები, **ვ. ალატორცევი, ბ. ბარანოვი, ი. ვასილჩუკი, ე. ეფიმოვი, ა. კოტოვი, ი. კუჩეროვი, ი. რობლინი, ი. სახაროვი, ტ. პეტროსიანი, ვ. სოკოლოვა, ბ. სპასკი, ვ. ტიხომიროვა, ი. ევენტოვი** (ყველა — მოსკოვი), **ი. პლატონოვი** (უკრაინა), **თ. გიორგაძე** (საქართველო), **ა. ტუპიკინი** (ლენინგრადი) და **მ. მუხიტდინოვი** (უზბეკეთი).

# ულმანის დიდი მარცხი

გიორლიცში დამთავრდა გდრ-ის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც მსოფლიოს 1975 წლის პირველობის ზონალური ტურნირების შესარჩევი შეჯიბრებაც იყო. მონაწილეობდნენ ცნობილი დიდოსტატი ვ. ულმანი და 19 ოსტატი.

14,5 ქულით I ადგილზე გავიდა ახალგაზრდა ოსტატი მ. შტონებერგი, რომელმაც 1 ქულით გაუსწრო საერთაშორისო ოსტატ გ. მალიხს. მათ მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ტურნირის დიდი მოულოდნელობაა ულმანის სერიოზული მარცხი. მან 11 ქულით VI-VIII ადგილები გაიყო.

ამავე ქალაქში დამთავრდა გდრ-ის ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 9,5 ქულით I ადგილზეა ი. იუსტი. მან ნახევარი ქულით გაუსწრო ა. ჰოფმანს. 8,5 ქულით III ადგილზეა ა. ნიუნჰერტი.

# ს. ბოხოსიანი — ბულგარეთის ჩემპიონი

დამთავრდა ბულგარეთის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც მსოფლიოს 1975 წლის პირველობის ზონალური ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებასაც წარმოადგენდა. 20 მონაწილეს შორის იყვნენ დიდოსტატები მ. ბობოცოვი, ნ. პადევსკი, აგრეთვე, რამდენიმე საერთაშორისო ოსტატი.

ტურნირი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. 19-დან 13,5 ქულით ბულგარეთის ჩემპიონობა პირველად მოიპოვა ახალგაზრდა ოსტატმა ს. ბოხოსიანმა. 13-13 ქულით II-IV ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა მ. ბობოცოვმა, საერთაშორისო ოსტატმა ი. რადულოვმა და 22 წლის ოსტატმა ა. ერმენკოვმა.

რადგან ზონალურ ტურნირში ბულგარეთის ჩემპიონატიდან პირველ სამ ადგილზე გასულები დაიშვებიან, მათ შორის უახლოეს ხანში უნდა გაიმართოს დამატებითი მატჩ-ტურნირი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**თბილისი სპორტულ ეკრანზე**

**ფეხბურთი.** მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 19 მარტი. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — ახ. საფეხბ. სკოლა (გაგრა). დასაწყისი 12 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. „დინამო" (თბილისი) — ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი). 12 ს. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — ახ. საფეხბ. სკოლა (თელავი). 14 ს. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი" (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი). დასაწყისი 16 ს.

21 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი). 12 ს., „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი). 14 ს. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი" (თბილისი) — ახ. საფეხბ. სკოლა (გაგრა). 16 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) „გურია" (ლანჩხუთი). დასაწყისი 17 ს.

**ფარიკაობა.** ვაკის საფარიკაო დარბაზი. 19 მარტი. თ. თოფურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა. დასაწყისი 11 ს.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი ვ. ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008). **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 99 56 14 რედაქტორის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 84 71 93 97 56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57 წერილების განყოფილება — 93 97 54 მემანქანეთა ბიურო — 93 97 59 ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 98 81, კორექტორები — 93 97 49

**ხელბურთი**

# ნზვა მატჩები

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ზონის წინაოლიმპიურ ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი „დ" ჯგუფში პორტუგალიელებთან მოიგო. ამჟამად ჩვენს ხელთაა ცნობები პირველი ტურის დანარჩენი მატჩების შედეგების შესახებ. „დ" ჯგუფში პოლონელისა და იტალიის ნაკრები გუნდების შეხვედრაში პოლონელებმა დიდი ანგარიშით იზეიმეს გამარჯვება — 39:14 (19:7).

პირველი ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ც" ჯგუფი. ესპანეთი — დიდი ბრიტანეთი 40:5 (16:3), შვეიცარია — ლუქსემბურგი 17:16 (9:7); „ა" ჯგუფი. ნორვეგია — ბელგია 29:1 (15:1), ფინეთი — ისლანდია 10:10 (2:5); „ბ" ჯგუფი. ავსტრია — საფრანგეთი 20:19 (11:10), ჰოლანდია — ბულგარეთი 16:10 (6:5).